INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის "სამტრესტი" ოფიციალური ვებ-გვერდის (www.samtrest.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 11 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი "სამტრესტი"

www.samtrest.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
52,63%
72,50%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
15,38%
95,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
32,25%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
10,34%
14,00%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
30,43%
20,43%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15,38%
33,63%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
60,00%
42,67%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
12,50%
12,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი" ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის „სამტრესტი" ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან თავმჯდომარეს. აგრეთვე არ მოიძიება თავმჯდომარის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; მოცემულია მხოლოდ თავმჯდომრის თანაშემწის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი" :



- დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის და იმ სფეროთა აღწერა, რომლებსაც კანონმდებლობის თანახმად კურირებენ მოადგილეები. აგრეთვე არ მოიძიება თავმჯდომარის მოადგილეთა სრული საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. მოცემულია მხოლოდ თავმჯდომრის ერთი მოადგილის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი":



2. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული დეპარტამენტის სრული დასახელება, კერძოდ კი, „სამტრესტის“ დებულების მიხედვით დეპარტამენტის სრული სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი “სამტრესტი”. შესაბამისად, ვებ-გვერდზე მოცემულ დასახელებას აკლია აღნიშვნა - „საჯარო სამართლის იურიდიული პირი“:

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი. განყოფილებაში „კონტაქტი“ არსებული აღნიშვნა - „ტელ/ფაქსი“ ცარიელია:



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომრის მოიძიება შესაძლებელია მხოლოდ ვებ გვერდის მთავარ გვერდზე გადასვლით. სასურველია მოცემული ინფორმაცია ასევე განთავსდეს არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“:

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი, განყოფილებაში „კონტაქტი“ არსებობს დეპარტამენტის სტრუქტუტული ქვედანაყოფების მხოლოდ ტელეფონის ნომრები, სასურველია მოიძიებოდეს აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფების ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები.

5. ვებ-გვერდზე არსებულ დეპარტამენტის ზემდგომ/მაკონტროლებელი ორგანოს (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს) ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელ ბმულს გააჩნია უცნაური აღნიშვნა „პარტნიორები“, რაც ჰბადებს კითხვას თუ სახის პარტნიორობა შეიძლება გააჩნდეთ ერთმანეთში ზემდგომ და ქვემდგომ საჯარო დაწესებულებებს:

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის უფლებამოსილების, საქმიანობის საგნისა და ფუნქციების აღწერა. სასურველია ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებას „ჩვენს შესახებ“ დაემატოს აღნიშნული ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული დეპარტამენტის სისტემის/სტრუქტურის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- არ მოიძიება დეპარტამენტის სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- არ მოიძიება დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები

დეპარტამენტის ქვედანაყოფების ჩამონათვალი მოთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კონტაქტი“. სასურველია ყველა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მოთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „სტრუქტურა“.

უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის აღწერა, მათი ფუნქციები და მიზნები) მომცველი გვერდის მოძიება შესაძლებელია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებული ძიების ფუნქციით, რა გვერდსაც არ გააჩნია ბმული ვებ-გვერდის ზოგად (ქვე-) განყოფილებებთან.

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია დეპარტამენტის სათათბირო ორგანოების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება:

- დეპარტამენტის სათათბირო ორგანოების (მრჩეველთა საბჭო, საკონსულტაციო საბჭო) ჩამონათვალი;

- დეპარტამენტის სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- დეპარტამენტის სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;

- დეპარტამენტის სათათბირო ორგანოების სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. დეპარტამენტის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა არქივი, საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება „ღონისძიებები“ და ქვე-განყოფილებები სათაურად - „სტატისტიკა'', „ქვევრის ღვინო“, „სანერგე მეურნეობები“ და „სახელმწიფო ღვინის ქარხნები“ ცარიელია. ამავე დროს, ალოგიკურ ქვე-განყოფილებაში „სტატისტიკა“ მოთავსებული წლიური ანგარიშის ბმული არ იხსნება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე თითქმის არა არის მოცემული ყველა საჯარო დაწესებულებისათვის ტიპური მონაცემთა ბაზები, მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი მონაცემთა ბაზები უხვადაა წარმოდგენილი.

➢ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ, თავმჯდომარისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

11. ვებ-გვერდის განყოფილებაში - „სიახლეები“ მოყვანილია ცნობების ძალზედ მწირი ჩამონათვალი, ხოლო განთავსებული ცნობები თარიღდება მხოლოდ 2011 წლით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ძველ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:



12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე არ მოიძიება დეპარტამენტის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

13. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება დეპარტამენტის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება დეპარტამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში“.

15. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და დეპარტამენტის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

16. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს დეპარტამენტი. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს დეპარტამენტი.

17. დეპარტამენტის მოქმედი დებულების თანახმად “სამტრესტის” საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულირება და შესაბამისი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება, ვაზის სადედეების, სამყნობი მასალებისა და ნამყენი ნერგის წარმოების ტექნიკური და ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელება, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინისა და ღვინის ბრენდის წარმოებაზე კონტროლი და ზედამხედველობა, აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის ეტიკეტირების კონტროლი. სასურველია ზემოთხსენებულ ქმედებათა შესახებ ინფორმაცია მოიძიებოდეს ვებ-გვერდზე.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

18. ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულო კოდექსი. ქვე-განყოფილების ,,დარგის კანონმდებლობა“ შიგთავსი ქაოტურია, აგრეთვე, უმეტესობა სამართლებრივი აქტებისა მოძველებულია. საჭიროა მოცემულ ქვე-განყოფილებას გადაერქვას სახელწოდება და დაერქვას „სამართლებრივი აქტები'' და მასში განთავსდეს შემდეგი სახის სამართლებრივი აქტებისა: საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, შინაგანაწესი, მთავრობის დადგენილებები და პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები/ბრძანებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

19. დეპარტამენტის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა დეპარტამენტში მიღების წესისა და ვადების აღწერა.

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და დეპარტამენტში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

21. განყოფილება ,,ტენდერები“ შემოიფარგლება მხოლოდ 5 სატენდერო განცხადებით, რაც შეუძლებელია მოაზრებულ იქნეს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტის“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ სრულფასოვან ინფორმაციად. *(პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს საქართველოს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტისათვის“ მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრულ ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის დეპარტამენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/samtresti_shesyidvebi.pdf)

22. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა დეპარტამენტისა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე დეპარტამენტისა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

23. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც მოყვანილ იქნებოდა დეპარტამენტის ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (დეპარტამენტის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება დეპარტამენტისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტისათვის“ მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის დეპარტამენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/samtresti_budget.pdf*);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს საქართველოს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტისათვის" მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა განცხადების მიღების მომენტისათვის დეპარტამენტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა [სახელი და გვარი] და თანამდებობის სახელწოდება), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის დეპარტამენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/Sashtatonusxa_samtresti.pdf)

- არ მოიძიება დეპარტამენტის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს საქართველოს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტისათვის" მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინსიტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის დეპარტამენტის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/samtresti_xelfasebi.pdf);

- დეპარტამენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს დეპარტამენტი;

- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ დეპარტამენტის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- სარეზერვო ფონდებიდან დეპარტამენტისათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

დეპარტამენტისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ძალზედ ზოგადი ინფორმაცია მოიძიება ქვე-განყოფილებაში „დარგის კანონმდებლობა“ კანონის სახით (საქართველოს კანონი საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ) და თარიღდება 2008 წლით. საჭიროა ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება „ბიუჯეტი“, სადაც განთავსდება შესაბამისი ფინანსური ხასიათის ინფორმაცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
58,82%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
68,42%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდზე მენიუ არის მრავალდონიანი ანუ გარკვეულ კატეგორიებში არსებობს შიდა მენიუ:

თუმცა არსად არ არის აღნიშნული, რომელი მენიუა მრავალდონიანი და რომელი არა. მომხმარებელმა თავიდანვე უნდა აღიქვას და განასხვაოს მრავალდონიანი მენიუ ერთ დონიანი მენიუსგან, ეს საჭიროა სწრაფი ნავიგაციისთვის;

- **ძიება**

ძიების შედეგებში ირღვევა ქართული ფონტის ფორმატი:

პრობლემა ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროგრამულ კოდში არ არის მითითებული, რომ ტექსტის ჩამოჭრა მოხდეს სიტყვების მიხედვით;

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ძიების შედეგების გაზიარების შესაძლებლობა არ არსებობს, ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ძიება ხორციელდება POST მეთოდით, ანუ ვებ-გვერდის ბმულში ძიების შედეგები არ აღიბეჭდება:



შესაბამისად, თუ ვებ-გვერდის მთლიანი ბმული გაუგზავნეთ თქვენს მეგობარს, იგი ვერ ნახავს თქვენს მიერ მოძიებულ შედეგებს;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე, გარკვეული კატეგორიებში გადასვლის შემდემ ქრება დაბლითა მენიუ:



დაბლითა მენიუს გამოსაჩენად აუცილებელია მთავარ გვერდზე გადასვლა. თუ ვებ-გვერდზე არსებობს რამოდენიმე მენიუ, ისინი ნებისმიერ კატეგორიაში გადასვლისას უნდა შენარჩუნდეს და მომხმარებელს არ უნდა მოუწიოს მთავარ გვერდზე დაბრუნება, იმის გამო რომ სხვა კატეგორიაში შევიდეს;

ვებ-გვერდში ფონტის ზომა იმდენად პატარაა, რომ რთულია მისი წაკითხვა, ხოლო ინფორმაციის მიღება შეუძლებელია იმ პირთათვის, ვისაც მხედველობასთან პრობლემები აქვს:

ფონტის ზომა აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ 12 პიქსელი, ხოლო სასურველია იყოს 14 ან 16 პიქსელი;

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ფოტო-გალერეაში ყველა სურათი ხშირად არ იტვირთება:

ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში, მეღვინეობის ტერმინოლოგია წარმოდგენილია ინგლისურ ენაზე:



მეღვინეობის ტერმინოლოგია

მთავარი › მეღვინეობის ტერმინოლოგია

A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z

Letter A:

A.O.C.:See Appellation d'Origine Controlée

Acetic Acid:All wines contain acetic acid, or vinegar, but usually the amount is quite small-from 0.03 percent to 0.06 percent-and not perceptible to smell or taste. Once table wines reach 0.07 percent or above, a sweet-sour vinegary smell and taste becomes evident. At low levels, acetic acid can enhance the character of a wine, but at higher levels (over 0.1 percent), it can become the dominant flavor and is considered a major flaw. A related substance, ethyl acetate, contributes a nail polish-like smell.

Acid:A compound present in all grapes and an essential component of wine that preserves it, enlivens and shapes its flavors and helps prolong its aftertaste. There are four major kinds of acids--tartaric, malic, lactic and citric--found in wine. Acid is identifiable by the crisp, sharp character it imparts to a wine.

ვებ-გვერდის დოკუმენტები დაწერილია ისეთი ფონტის გამოყენებით, რომელიც ოპერაციულ სისტემას ხშირად არ მოყვება:



შესაბამისად სპეციალური ფონტის დაყენების გარეშე შეუძლებელია დოკუმენტების წაკითხვა;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის Facebook-ის გვერდი არ არის დაკავშირებული ვებ-გვერდთან. ვებ-გვერდზე უბრალოდ Facebook-ის შესაბამისი ბმულის დადებით ელექტრონული რესურსი გახდება გაცილებით უფრო მოძიებადი როგორც სოციალურ ქსელში ასევე საძიებო სისტემებში;

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე არსებობს პროგრამული წუნი: XSS (cross-site scripting)



არსებულ კვლევაში ჩვენ არ დავწერთ კონკრეტულად რა კატეგორიაში არსებობს ტექნიკური წუნი, თუმცა ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის წარმომადგენელთა დაინტერესების შემთხვევაში დეტალურად მივაწვდით ინფორმაციას;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე არსებობს ისეთი ბმულები, რომლებიც წარმოდგენილია მხოლოდ ტექსტობრივ ფორმატში, მაგალითად:



თუ დააკვირდებით ბმულს, იგი უფუნქციოა, მასზე გადასასვლელად საჭიროა მისი „დაკოპირება“ და ჩასმა ბრაუზერის URL-ში (სადაც იწერება ვებ-გვერდის მისამართები);

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე გათვალისწინებულია წვრილმანი დეტალები, რომლებიც დადებითად მოქმედებს ელ.-რესურსის ხარისხზე, თუმცა ვებ-გვერდის ფუნქციონალური საჭიროა სოციალურ ქსელებთან და საძიებო სისტემებში მისი ინტეგრაცია, ელექტრონული სერვისების დამატება და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების გათვალისწინება.